განმარტებითი ბარათი

„ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი

ცვლილებების პროექტის შემუშავება განაპირობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში, სათანადო პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების არარსებობამ. კერძოდ:

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სასამართლოს თანხმობის საფუძველზე იმ ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებას, რომლის მიმართაც დაწყებულია საქმის მოკვლევა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია სამართალწარმოება მეწარმის ადგილზე შემოწმების თაობაზე, თუმცა გარდა იმისა, რომ იგი მხოლოდ მეწარმე სუბიექტებს ეხება (ეკონომიკური აგენტის ცნება კი გაცილებით ფართოა), იგი ასევე არ იძლევა იმ მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილად რეალიზების შესაძლებლობას, რაც ,,კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების მექანიზმითაა განსაზღვრული.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა კონკურენციის სააგენტოს ავალდებულებს მოკვლევის სრულყოფილად ჩატარებას, ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კანონდარღვევებთან დაკავშირებით, აღნიშნული გულისხმობს სრულყოფილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების მოპოვებას, მათ ყოველმხრივ და კომპლექსურად შესწავლასა და ურთიერთშეჯერებას.

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია მოკვლევის ფარგლებში, მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების თაობაზე, თუ სხვა საშუალებით შეუძლებელია საქმის მოკვლევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიღება, ასევე თუ არსებობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურების, ან დამალვის საშიშროება და სხვა. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმება, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე მოიცავს ეკონომიკური აგენტის იურიდიული და ფაქტობრივი საქმიანობის ადგილზე დაშვებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევების დადგენა/არ დადგენა, რიგ შემთხვევაში, სენსიტიური ინფორმაციის მოპოვებასთან არის დაკავშირებული, (მაგ: როგორიცაა, პირადი მიმოწერა ელექტრონული თუ სხვა კომუნიკაციის საშუალებები და სხვა), სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სრულყოფილი მოკვლევის ჩასატარებლად, კანონმდებლობით უზრუნველყოფილ იქნას ის დამცავი მექანიზმები, რომელიც ეკონომიკურ აგენტს ხელს შეუშლის ასეთი ინფორმაციის განადგურებასა და გადამალვაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოებისას, ითვალისწინებს აღნიშნულის თაობაზე ეკონომიკური აგენტის შეტყობინების ვალდებულებას. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების დროს ანალოგიური რეგულაციის გავრცელებით, ვერ იქნება მიღწეული კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზანი - სააგენტომ სრულყოფილად მოიპოვოს ინფორმაცია და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, ვინაიდან თუ ეკონომიკურ აგენტ(ებ)ი ინფორმირებულები იქნებიან მისი (მათი) ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით სააგენტოს შუამდგომლობის თაობაზე, შედეგად, ეკონომიკურს აგენტს მიეცემა ინფორმაციის განადგურების, ან გადამალვის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია,

რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დეტალურად მოწესრიგდეს სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით, რათა მოხდეს პრევენცია იმისა, რომ ეკონომიკურმა აგენტ(ებ)მა გაანადგურონ ან გადამალონ ინფორმაცია.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადგილზე შემოწმების ინსტიტუტი, ე.წ. „down raid“, რომელიც კონკურენციის კანონის დარღვევის თაობაზე საქმის მოკვლევის პროცესში სრულყოფილი მტკიცებულებების მოპოვების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობისგან განსხვავებით, „down raid”-ის ფარგლებში, როგორც ევროკომისიის, ასევე, არაერთი ქვეყნის კონკურენციის დაცვის ორგანოს უფლებამოსილებები არის უფრო ფართო. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული „down raid“-ის ეფექტურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულის თაობაზე ეკონომიკური აგენტი წინასწარ ინფორმირებული არ არის, რაც განაპირობებს პრევენციას იმისა, რომ ეკონომიკურმა აგენტმა გადამალოს ან გაანადგუროს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები და ინფორმაცია. „Down raid“-ის, როგორც მტკიცებულებათა მოპოვების მნიშვნელოვანი მექანიზმის ეფექტურობა დადასტურებულია საერთაშორისო პრაქტიკითაც.

ამასთან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - “საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა” ფარგლებში ევროკავშირის ექსპერტების მიერ შემოთავაზებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ადგილზე შემოწმების ეტაპზე იყო ის გარემოება, რომ კანონის ეფექტურად აღსრულებისთვის, ეკონომიკური აგენტები არ უნდა ყოფილიყვნენ წინასწარ ინფორმირებულნი ადგილზე შემოწმების თაობაზე.

2) ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების მექანიზმების სახით, სააგენტოს ანიჭებს სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილებას, განსაზღვრულ შემთხვევებში. კერძოდ, სააგენტოს უფლებამოსილია სასამართლოს შუამდგომლობით მიმართოს შემდეგი წინაპირობების არსებობისას:

ა) სააგენტო უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) გათვალისწინებულ კონკურენციას.

ბ) შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე;

გ) სააგენტოს უარყოფითი დასკვნის მიუხედავად ეკონომიკური აგენტების მიერ კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, ჯარიმის დაკისრების პარალელურად, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვოს კონცენტრაციის გაუქმება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

დ) დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას, სააგენტოს უფლება აქვს სასამართლოს წინაშე დასვას მისი იძულებითი დაყოფის საკითხი, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა, ან განახორციელოს კონკურენციის პოლიტიკით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

მიუხედავად „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით სააგენტოსათვის მინიჭებული ზემოაღნიშნული უფლებამოსილებებისა, სააგენტოს მიერ სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენასთან და მის განხილვასთან დაკავშირებული პროცედურები და შესაბამისი

სამართალწარმოება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით მოწესრიგებული არ არის. სათანადო რეგულაციის არარსებობის პირობებში კი, სააგენტო ვერ ახდენს იმ მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილად რეალიზებას, რაც წარმოდგენილი კანოპროექტით გათვალისწინებული შესაბამისი მექანიზმების გამოყენებითაა შესაძლებელი. რეგულაციის არ არსებობა სერიოზულ პრობლემებს ქმნის, ასევე სასამართლო პრაქტიკაშიც.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების გარეშე, სასამართლო ვერ განიხილავს კონკურენციის კანონმდებლობიდან გამომდინარე საკითხებს, რადგან შესაბამისი პროცედურა არის გათვალისწინებული მოქმედ კანონმდებლობაში.

ა..ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

კანონპროექტის მიღების შემდეგ მოხდება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში სააგენტოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, შესაბამისი სამართალწარმოების რეგულირება და სათანადო პროცედურების დადგენა სასამართლო პრაქტიკაში ხარვეზების აღმოფხვრისა და მათი თავიდან აცილების მიზნით.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი

1) კანონპროექტის შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსს ემატება VII[16] თავი, რომლითაც მოწესრიგდება ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით:

კანონპროექტის მიხედვით, ბრძანებას ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების თაობაზე, რომლის მიმართაც დაწყებულია საქმის მოკვლევა ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევასთან დაკავშირებით, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლო. კონკურენციის სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების თაობაზე, სასამართლოს წარედგინება შემოწმების დაწყებამდე წარედგინება. კანონპროექტით ასევე განსაზღვრულია სასამართლოს მიერ შუამდგომლობის განხილვისა და ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი, ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა, მისი გაგრძელების წესი და მოსამართლის ბრძანების რეკვიზიტები (მუხ. 21 [63] - 21 [65]).

კანონპროექტის შესაბამისად, მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, იმ ეკონომიკური აგენტ(ებ)ისათვის შეუტყობინებლად, რომლის ადგილზე შემოწმებასაც ითხოვს საქართველოს კონკურენციის სააგენტო. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების შესახებ/შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე მოსამართლის ბრძანება საჯაროდ არ ცხადდება. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, რომელთაგან ერთს წარუდგენს ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს, ადგილზე შემოწმების დაწყებამდე. ხოლო ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე მოსამართლის ბრძანება გაეგზავნება ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს (მუხლი 21 [65]).

აღნიშნული რეგულაციის დაწესება, იქნება იმის მყარი გარანტია, რომ ეკონომიკური აგენტ(ებ)ი არ გადამალავს ან/და არ გაანადგურებს საქმის მოკვლევისათვის საჭირო ინფორმაციას და მტკიცებულებებს. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ კი ეკონომიკური აგენტ(ებ)ი წინასწარ ინფორმირებული იქნება მისი ადგილზე შემოწმების

თაობაზე, იგი ეცდება საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების და ინფორმაციის გაქრობას ან განადგურებას.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლოში (მუხლი 21 [66]).

2) კანონპროექტის შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსს ემატება VII[17] თავი, რომლითაც მოწესრიგდება ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით:

კანონპროექტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე, თუ სააგენტომ მიმართა ეკონომიკურ აგენტს ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნით და ინფორმაცია/დოკუმენტაცია განსაზღვრულ ვადაში არ არის მოწოდებული. კანონპროექტის შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას, გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლო (მუხლი 21[67] - 21 [68]).

კანონპროექტით განსაზღვრულია სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობის განხილვისა და შესაბამისი ბრძანების გამოცემის წესი. წარმოდგენილი კანოპროექტი ასევე ითვალისწინებს აღნიშნული ბრძანების სააპელაციო სასამართლოში, ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობას (მუხლი 21[69]).

3) კანონპროექტის შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსს ემატება VII[18] თავი, რომლითაც მოწესრიგდება ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით:

კანონპროექტის მიხედვით, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეკონომიკური აგენტის ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას, კონკურენციის სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე (მუხლი 21 [70]).

კანონპროექტით განსაზღვრულია სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტ(ებ)ის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების თაობაზე შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტის წესი. კერძოდ, სასამართლო კონკურენციის სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს მხარეთათვის შეუტყობინებლად, ზეპირი მოსმენის გარეშე, ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება ბრძანების ფორმით (მუხლი 21 [72]).

კანონპროექტი ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტის ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით ბრძანების სააპელაციო სასამართლოში ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობას (მუხლი 21 [73]) .

4) კანონპროექტის შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსს ემატება VII[19] თავი, რომლითაც მოწესრიგდება ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხთან დაკავშირებით

- **კონცენტრაციის გაუქმება**

კანონპროექტის მიხედვით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, გადაწყვეტილებას თავდაპირველი

მდგომარეობის აღდგენის მიზნით, კონცენტრაციის გაუქმების თაობაზე, სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, იღებს თბილისის საქალაქო სასამართლო (მუხლის 21 [74]).

ასევე განსაზღვრულია სააგენტოს მიერ შუამდგომლობის წარდგენისა და სასამართლოს მიერ კონცენტრაციის გაუქმების გადაწყვეტის წესი. კერძოდ, წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისად, სასამართლო კონკურენციის სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში, ზეპირი მოსმენით. რის თაობაზეც ეცნობებათ მხარეებს, ამასთან, ეკონომიკური აგენტებს ენიჭებათ სასამართლოსათვის წერილობითი მოსაზრებების წარდგენის უფლებამოსილება, მათთვის საქმის მასალების გადაცემის შემდეგ. სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება ბრძანების ფორმით, რომელიც ეგზავნება სააგენტოს და კონცენტრაციის მონაწილე მხარეებს (მუხლი 21 [76]).

კანონპროექტი ითვალისწინებს კონცენტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლოში (მუხლი 21[77]).

- **დომინანტური მდგომერეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებითი დაყოფა**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის იძულებითი დაყოფა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს დომინანტური მდგომარეობის მქონე პირის მიერ კანონის არაერთგზისს დარღვევას. ამდენად, კანონპროექტის შესაბამისად, განისაზღვრება რომ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, გადაწყვეტილებას დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის თაობაზე იღებს თბილისის საქალაქო სასამართლო (მუხლი 21 [78]).

კანონპროექტი ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობის წარდგენის წესს და შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოსათვის წარსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალს. ასევე, ეთითება, რომ სასამართლოში ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ვრცელდება ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დადგენილ წესები (მუხლი 21 [79]).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონის პროექტთან მიმართებით;

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება

ძირითადი კანონის პროექტიდან გამომდინარე, ეს კანონის პროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს. კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭების საკითხს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატივა ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)

არ არის მოთხოვნილი

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტისბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა

კანონპროექტის მიღებს არ იწვევს რაიმე ფინანსურ შედეგს, იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობის შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არარსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების პროცედურის გამართულობა წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - "საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა" - მიერ შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებში. კერძოდ, ევროკავშირის პროექტის ექსპერტების შეფასებით, ეკონომიკური აგენტი არ უნდა ყოფილიყო წინასწარ ინფორმირებული ადგილზე შემოწმების თაობაზე, რათა არ მომხდარიყო მტკიცებულებების განადგურება.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავების პროცესში, სააგენტომ გააკეთა საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა, თუ როგორ ხდება ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმება - 18 ქვეყნის მაგალითზე.

ე) კანონპროექტის ავტორი:

სსიპ - საქართველოს კონკურენციის სააგენტო;

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - რომან კაკულია.